საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 1
12/01/2018

1-06-4-201801121732

განკარგულება № 1
2018 წლის 12 იანვარი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან
საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეიქმნას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზი“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებისაგან.

2. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაცია უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა.

3. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაცია დაიწყოს საკრებულოს ამ განკარგულების გამოქვეყნების დღიდან.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, საკრებულოს ამ განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ, უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს საკრებულოს აპარატს მისი და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) საზოგადოებრივი დარბაზის წევრად რეგისტრაციის მოთხოვნით.

5. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება შეიზღუდოს.

6. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (ეროდი გორდელაძე).

7. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის N47 განკარგულება და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის N48 განკარგულება.

7. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო